სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 555
(ოქმი # 492

თბილისი

2023 წლის 17 ივლისი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 30(1) მუხლის “ბ)” ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” გენერალური დირექტორის 13.07.2023წ. # 1481 და #1483 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2008 წლის #108 (ოქმი #68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:

• სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;

• გენერალური დირექტორი;

• დირექტორთა საბჭო;

• ახალი და მიმდინარე ამბები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი. ახალ და მიმდინარე ამბებში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ცენტრალური მართვის აპარატი;
  - ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;
  - ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;
- ანალიტიკური სამსახური;

• მედია, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიის დირექტორი. მედიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- პირველი არხი;
- ტელესკოლა;
- რადიო 1;
- რადიო 2;
- ტელეფილმები;
- მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა/გახმოვანების სამსახური;
- არქივი;

• ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელსაც ხელმძღვანელობს ტექნიკური დირექტორი. წარმოების ტექნიკურ უზრუნველყოფაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- გავრცელების უზრუნველყოფის სამსახური;
- მაუწყებლობის სამსახური;
- წარმოების უზრუნველყოფის სამსახური;
- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

• ფინანსები და ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ფინანსური ანალიზის და ფინანსური აღრიცხვის სამსახური;
- შესყიდვების სამსახური;
- ადმინისტრაცია;
- საქმისწარმოების სამსახური.

• მარკეტინგი და კომუნიკაცია;
• ახალი მედია და ინოვაცია;
• ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
• იურიდიული სამსახური;
• შიდა აუდიტის სამსახური.".

ბ) დებულების მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1.10. ქვეპუნქტი:

„3.1.10. შიდა აუდიტის სამსახური, როგორც სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს:

- აქტივების მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებას და შესწავლას;
- ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული დასახული ამოცანების შესრულებაში მხარდაჭერას;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს;
- რისკების განსაზღვრას;
- ინვენტარიზაციის პროცესის აუდიტორულ კონტროლს;
- მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის პროცესში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მონიტორინგს;
- მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.".

გ) დებულების მე-3 პუნქტის 3.8. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.8. მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი, ახალი მედიის და ინოვაციის სამსახურის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორი და კურატორი დირექტორის წინაშე.".

დ) დებულებისმე-4 პუნქტის 4.2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბიუჯეტის მიღების პროცესი განისაზღვროს თანდართული სახით.

დანართი:

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება;

2. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური რესურსების დაგეგმვა, ანალიზი და კონტროლი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ლაშა ტუღუში

იზაბელა ოსიპოვა

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

ბონდო მძინარაშვილი